F 2681/13472

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

Библиотека

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 8 მარტი

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი.

№ 1

ფასი 15 კ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари“—Михаилу Медзмаріашвили для газ. „Чвени Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპ. იქ.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

8 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური გაზეთი

„ჩვენი ბრძოლა“.

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 40 მ. | ორი თვით | 6 მ. 50 კ. |
| ექვსი თვით | 20 მ. | ერთი თვით | 3 მ. 50 კ. |
| სამი თვით | 10 მ. | ცალკე ნომერი | 15 კ. |

მისამართი: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари“ —Михаилу Медзмаріашвили для газеты „Чвени Брдзола“.

## რედაქციისაგან.

**ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“ საკუთარი თქვენი ორგანოა. თითოეული პარტიული ორგანიზაცია და ყველა შეგნებული მუშა და გლეხი ვალდებული არიან „ჩვენი ბრძოლის“ რედაქციასთან მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი იქონიონ და მას ყოველნაირათ დაეხმარონ. ყოველივე თქვენი შენიშვნა, ყოველივე თქვენ მიერ მოწერილი ამბავი ანუ კორესპონდენცია მუშების და გლეხების ცხოვრებიდან დიდი ყურადღებით იქნება მიღებული და გამოქვეყნებული.**

## მიმართვა.

ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!

გასული თებერვლის 20-23 რიცხვებში ქ. ქუთაისში მოხდა დასავლეთ ამიერ-კავკასიის (ქუთაისის გუბერნიის, ბათომის და სოხუმის ოლქების) კონფერენცია რ. ს. დ. მ. პ (ბოლშევიკების), რომელსაც დაესწრო ოცდათორმეტი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს ორგანიზაციები აერთებდენ კონფერენციის მოწვევის დროს ექვს ათასზე მეტ პარტიულათ შეკავშირებულ წევრებს. დიდი ნაწილი ამ ორგანიზაციებისა სულ ახლად დაარსებულია, რაც აშკარათ მოწმობს იმას, რომ ჩვენში დღეს ძლიერ მომწიფებულია ნიადაგი ბოლშევიკური ორგანიზაციების დასაარსებლათ და მართლაც სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ამ უკანასკნელ დროს, მენშევიზმის გაკოტრების ხანაში, ჩვენი პარტიის ორგანიზაციები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩნდებიან და იზრდებიან, პარტიის წევრების რიცხვი ყოველგან სწრაფათ მატულობს. სამწუხაროთ, მრავალი ორგანიზაცია, სხვადასხვა მიზეზების გამო, კონფერენციაზე წარმოდგენილი არ ყოფილა. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ნამდვილათ დღეს პარტიის წევრთა რიცხვი ბევრათ იმაზე მეტია, რაც კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი.

მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა და სიძნელისა, კონფერენციის მუშაობა საკმარისათ ნაყოფიერათ ჩატარდა. კონფერენციამ მოასწრო მოხსენებების მოსმენა დღევანდელ მომენტზე, მიწის საკითხზე, მუშების და გლეხების დეპუტატების საბჭოებზე, სოციალისტურ გვარდიაზე და სხვ. ყველა ამ საკითხების შესახებ კონფერენციამ მიიღო შესაფერი რეზოლიუციები და დადგენილებები, რომლებიც ცალკე წიგნაკად გამოიცა უკვე. კონფერენციამ დაადგინა საკუთარი ორგანოს გამოცემა ქართულ ენაზე. დასასრულ არჩეულ იქნა დასავლეთ ამიერ-კავკასიის კომიტეტი, რომელსაც დაევალა კონფერენციის ყველა დადგენილებების სისრულეში მოყვანა და პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა. კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს გაძლიერებული ენერგიით შეუდგენ პარტიული მუშაობის გაღრმავებას და გაფართოვებას ხალხის მასსაში, ერთსულოვანათ შემოკრებენ სოციალისტური დროშის ქვეშ. მჭიდროთ შეუკავშირდენ პარტიულ ცენტრებს, რათა მწყობრათ და ორგანიზაციულათ შევუდგეთ სოციალიზმის განხორციელებას.

ამხანაგებო! უკვე ერთი წელიწადი შესრულდა, რაც რუსეთში დაიწყო უდიდესი რევოლიუცია ძველი წყობილება დაინგრა და იმის ადგილას ახალი უნდა აშენდეს. მაგრამ ეს ნგრევა-შენების პროცესსი ერთი დაკვრით არ მოთავდება. დღეს უნდა მოხდეს მთელი ჩვენი ცხოვრების განახლება; ცხოვრება უნდა მოეწყოს სრულიად სხვა საფუძველზე, ვინემ ეს დღემდის იყო. თქვენ იცით, რომ ჩვენში ეს განახლება ჯერ კიდევ შორსაა. უნდა დამყარდეს ნამდვილი სახალხო მთავრობა, ე. ი. მთელი ძალა-უფლება მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების ხელში უნდა გადავიდეს, ისე, რომ არც სოფლად და არც ქალაქად სხვა რაიმე დაწესებულებას ძალა-უფლება არ უნდა ეკუთვნოდეს. ყველა მიწები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად მთელი ხალხის საკუთრებათ უნდა გადაიქცენ და ისინი გლეხების დეპუტატების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა სრულ განკარგულებაში უნდა დარჩენ.

ამხანაგებო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ბოლშევიკების პარტია ერთათ ერთი რევოლიუციონური პარტიაა, რომელიც ბოლომდის იცავს როგორც რევოლიუციის, ისე მუშების და გლეხების ინტერესებს. რომელიც იბრძვის ნამდვილი სახალხო მთავრობის დასამყარებლათ. ბოლშევიკების პარტია ებრძვის არა მარტო ბურჟუაზიულ პარტიებს, არამედ იმ ცრუ სოციალისტურ პარტიებსაც კი. ე. ი. მენშევიკებს და ესერებს, რომლებიც სიტყვით თითქო მუშების და გლეხების ინტერესებს იცავენ, მაგრამ საქმით კი ბურჟუაზიას და მემამულეებს უმაგრებენ ზურგს. ამიტომაც არის, რომ დღეს ბოლშევიკების წინაალმდეგ შეთანხმებულათ მოქმედებენ ყველა პარტიები მენშევიკებიდან დაწყებული ნაციონალ დემოკრატებამდე.

ამხანაგებო! ვისაც სურს და ვინც დაინტერესებულია იმაში, რომ ჩვენში სახალხო მთავრობა დამკვიდრდეს, რომ მთელი ძალა-უფლება მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდეს, ვისაც სურს, რომ მიწით სარგებლობა მხოლოთ მშრომელ ხალხს შეეძლოს, ვინც დაინტერესებულია იმით, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია მუშების და გლეხების სრული გამარჯვებით დამთავრდეს, იმან ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ბოლშევიკების გავლენა ხალხში გაძლიერდეს და გაფართოვდეს და იმავე დროს იგი უნდა შეეცადოს მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოების განმტკიცებას და გამაგრებას.

დღეს რუსეთის რევოლიუციას დიდი განსაცდელი ადგია: მას თავს ესხმის, როგორც შინაურ, ისე გარეშე კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია. ვის ძალუძ დაიცვას რევოლიუცია ამ თავდასხმისაგან? ამას შესძლებს მხოლოთ პროლეტარიატი და გლეხკაცობა, შეკავშირებული და დარაზმული მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოებში. ამნაირათ იბრძვის დღეს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის წინააღმდეგ მთელი რევოლიუციონური რუსეთი. ე. ი. რუსეთი მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოებისა. ჩვენც იმათთან ერთათ უნდა ვიყოთ. ძირს ძირს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები!

გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლიუციას!

გაუმარჯოს რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს.

დასავლეთ ამიერ-კავკასიის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

## დღევანდელი მდგომარეობა.

რუსეთის დიდი რევოლიუცია დღეს მეტათ მწვავე კრიზისს განიცდის: დღეს უნდა გადაწყდეს მისი ბედი და უბედობა. ახლა ამას ყველა ხედავს. ზოგიერთების აზრით, რევოლიუცია რუსეთში უკვე დაიღუპა. ამას აშკარათ ამბობენ არა მარტო კონტრ რევოლიუციონური და შავრაზმული გაზეთები, არამედ ამას ამოწმებენ ფარეთვე ჩვენებური მენშევიკების გაზეთებიც. პირველები ალარ ფარავენ თავის სიხარულს რევოლიუციის დამარცხების გამო, მეორენი ინუგეშებენ თავს მით, რომ თუმც რუსეთში რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ სამაგიეროთ ის იმარჯვებს ჩვენში, ამიერ-კავკასიაშიო.

მაგრამ ჩვენი მტრები და მოწინააღმდეგენი სასტიკათ ცდებიან, ვინაიდან ჯერ ნაადრევია რუსეთის რევოლიუციის დაღუპვაზე ლაპარაკი. მართალია მხოლოთ ის, რომ რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციას დღეს უდიდესი განსაცდელი ადგას თავზე სოციალისტური რუსეთის დიდებული და ძლევამოსილი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის და მემამულეების წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დასრულებული, როცა რუსეთის მუშების და გლეხების რევოლიუციას დაესხენ ავსტრო-გერმანიის იმპერიალიზმის ურდოები ავაზაკ ვილჰელმის მეთაურობით. ამნაირათ დღეს რუსეთის სოციალისტური რევოლიუცია იგერიებს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს საერთაშორისო იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ.

როგორ მოხდა ეს? გასული წლის ოქტომბრის რევოლიუციის დროს დაემხო ხალხის მოღალატე ბურჟუაზიული მთავრობა, რომელსაც ზურგს

უმაგრებდენ მენშევიკები და მემარცხენე ესერები. ოკტომბრის რევოლიუციამ დაამყარა რუსეთში ნამდვილი სახალხო მთავრობა მუშების, ჯარის-კაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკის სახით. ახალი სოციალისტური მთავრობა დაუყონებლივ შეუდგა ომის დაბოლოვების, ზავის და მიწის საკითხის გადაჭრას პრაქტიკულათ და მრავალ სხვა სოციალისტური ხასიათის რეფორმების განხორციელებას. თავისთავათ იგულისხმება, რომ კონტრ რევოლიუციონურ ბურჟუაზიას და მემამულეებს, ერთი მხრით, და იმათ ამყოლ ცრუ-სოციალისტურ პარტიებს, მეორე მხრით, არ შეეძლო გულზე ხელდაკრეფით შეხვედროდენ სოციალისტური რევოლიუციის დასაწყისს რუსეთში. ყველა ბურჟუაზიულმა და ცრუ-სოციალისტურმა პარტიებმა, შეკრეს-რა ურთიერთშორის კავშირი, აუტეხეს რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას სამოქალაქო ომი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ისტორიამ არ იცის იმის მაგალითი, რომ გაბატონებულ და მქონებელ კლასებს უბრძოლველათ დაეთმოთ სადმე ხალხისთვის თავისი პოზიციები. რუსეთის ბურჟუაზიას, უწინარეს ყოვლისა, გვერდში ამოუდგა უკრაინელი ბურჟუაზია. ორთავემ გამოიყენა კალედინი, და სხვები მუშების და გლეხების რევოლიუციის შესამუსრავათ. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდენ: კონტრ რევოლიუციონური ბურჟუაზია თითქმის ყოველგან დამარცხდა ან მარცხდება. ასე იყო შინ. რა ხდებოდა ამ დროს რუსეთს გარეთ?

შინ დამარცხებული კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები მთელ თავის იმედებს ამყარებენ ევროპიელ და საზოგადოთ მთელი საერთაშორისო იმპერიალისტურ ბურჟუაზიაზე. უნდა ითქვას, რომ ოკტომბრის რევოლიუცია ევროპის ბურჟუაზიისათვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო. ეს ისეთი დაკვრა იყო მისთვის, რომ ის კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა. ევროპის ბურჟუაზია გრძნობდა, რომ მის ბატონობას ბოლო ედება, მაგრამ მას ჯერ ძალა ვერ მოეკრიფა ამ უბედურების თავიდან ასაცდენად. საერთაშორისო და კერძოთ ავსტრო-გერმანიის იმპერიალისტების დავთარის არევა ოკტომბრის რევოლიუციის პირველ ხანებში, სხვათა შორის იქიდანაც ჩანს. თუ როგორ შეხვდენ სახალხო კომისარების დეკრეტს ზავის შესახებ ავსტრო-გერმანიის იმპერიალისტები. რუსეთის რევოლიუციის წინადადებაზე, შეიკრას უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე, გერმანელი იმპერიალისტები თითქო დათანხმდენ კიდევაც, და ჩამოგდებულ იქნა დროებითი ზავი მოსალაპარაკებლათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთი მოლაპარაკება თავიდანვე გადაჭრით უარყვეს ეგრეთ წოდებულ რუსეთის „მოკავშირე“ სახელმწიფოებმა, ე. ი. ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ. ამ გარემოებამ საკმარისათ დიდი გავლენა იქონია საერთო ზავის მოახლოვებაზე. ეტყობოდა, რომ ინგლისის და საფრანგეთის მუშათა კლასში ჯერ კიდევ ცხოველი იყო თავის ბურჟუაზიასთან თანხმობის გრძნობა და სხვა ქვეყნის ბურჟუაზიის დამარცხების სურვილი.

ამავე დროს მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებათ ავსტრო-გერმანიის იმპერიალისტებთან გრძელდებოდა; ეს მოლაპარაკება გადაიქცა არსებითათ ნამდვილი საგიტაციო საშუალებათ მთელი ევროპის და განსაკუთრებით ავსტრო-გერმანიის პროლეტარიატში სოციალისტური რევოლიუციის დასაწყებათ. მართლაც, არავის არ სჯეროდა ის, რომ ავსტრო გერმანიის კაპიტალისტები ნამდვილათ ფიქრობდენ დემოკრატიული ზავის ჩამოგდებას. სახალხო კომისარების ტაქტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ერთი მხრით, შეწყვეტილიყო ყოვლად უაზრო სისხლის ღვრა ფრონტზე, და, მეორე მხრით, გაეგრძელებია საზავო მოლაპარაკება, ვინაიდან ეს იყო საუკეთესო საშუალება პროლეტარული რევოლიუციის ასაფეთქებლათ დასავლეთ ევროპაში.

ჩვენ იმ თავითვე ვამბობდით და დღესაც ვამბობთ, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია, როგორც პროლეტარული, რევოლიუცია, საბოლოოთ გაიმარჯვებს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ევროპაშიაც იფეთქებს ასეთივე რევოლიუცია. ეს დებულება დღემდისაც შეურყეველი რჩება. მართლაც საზავო მოლაპარაკების დროს ავსტრო-გერმანიის პროლეტარიატში ჩნდება და ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა გრანდიოზულ გაფიცვების სახით, რომ ბერლინის და ვენის მუშები შეეცადენ მუშების და ჯარის-კაცების დეპუტატების საბჭოების დაარსებას და დაარსეს კიდევაც. ერთი სიტყვით ავსტრო-გერმანიის იმპერიალისტებისთვის აშკარა შეიქნა, რომ საზავო მოლაპარაკება რევოლიუციონურ რუსეთთან მათ სიკვდილს უმზადებს, რომ ზავის კამპანია აუცილებლათ იწვევს და უკვე გამოიწვია კიდეც მუშებში რევოლიუციონური მოძრაობა, რომელმაც კაპიტალის მონობა უნდა მოსპოს. თავისთავათ იგულისხმება, რომ იმპერიალისტები დამშვიდებით ვერ დაუწყებდენ ყურებას პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას. გერმანიის მთავრობამ დახვრეტით გასცა პასუხი მუშებს, რითაც მან შესძლო მოძრაობის დროებით შეჩერება. რა თქმა უნდა, გერმანიის მთავრობა ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა მას უნდა გამოეყენებია რევოლიუციონური მოძრაობის დროებით დასუსტება გერმანიაში იმისთვის, რომ რევოლიუცია სათავეში ჩაეკლა; ეს სათავე კი მის თვალში დღეს რევოლიუციონური რუსეთის საბჭოთა მთავრობაა. და, აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ავსტრო-გერმანიის იმპერიალისტებმა დაისახეს, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, რევოლიუციონური რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობის შემუსვრა და მოსპობა ხალხზე თავის ბატონობის გასაგრძელებლათ.

ამიტომ გერმანიის იმპერიალისტებმა, ისარგებლეს რა თავისი პროლეტარიატში რევოლიუციონური მოძრაობის ჯერ კიდევ ნაკლები განვითარებით, ერთი მხრით, და, მეორე მხრით იმ გარემოებით, რომ საბჭოთა მთავრობას ჯერ სავსებით კიდევ ვერ დაუმარცხებია შინაური ბურჟუაზია, გადალახეს ყოველივე კანონიერება, დაარღვიეს თვიანთ მიერ დადებული პირობებიც კი და მოულოდნელათ თავს დაესხენ რევოლიუციონურ რუსეთს. აქ მათ ხელაპყრობით მიეგებენ უკრაინის და რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები. ეს თავდასხმა მუშების და გლეხების რევოლიუციაზე ხდება, რა თქმა უნდა, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და საერთოთ მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური ბურჟუაზიის თანხმობით და აშკარა დახმარებით.

ამნაირათ რუსეთის დიდი რევოლიუციის წინაალმდეგ შეკავშირდა და იბრძვის დღეს თითქმის მთელი საერთაშორისო ბურჟუაზია. აშკარაა, დღეს ხდება გადამწყვეტი ომი, ერთი მხრით, სისხლის მსმელ კაპიტალისტებსა და მემამულეებს, და, მეორე მხრით, მუშებსა და ღარიბეს გლეხებს შორის. ყველა კითხულობს, ყველას აინტერესებს ის, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული ამ ომიდან.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ შეხვდენ რუსეთის მუშები და გლეხები საერთაშორისო იმპერიალიზმის თავდასხმას, ჩვენ ვიცით, რა უპასუხეს მუშების და გლეხების საბჭოებმა გერმანიის იმპერიალისტებს: იმათ გადასწყვიტეს ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და კიდევაც აქვეთენ მტერს. რუსეთის მუშებში და გლეხებში ამ ახალმა სოციალისტურმა ომმა რევოლიუციის წინაალმდეგ გამოიწვია გამოუთქმელი, ჯერ არ ნახული, აღფრთოვანება. ეს თავდებია იმის, რომ რევოლიუცია ძლეული არ იქნება. რუსეთის პროლეტარიატი და გლეხკაცობა ადვილათ ვერ დასთმობს სისხლით მოპოვებულ უფლებებს. მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე ისიც, რომ რუსეთის პროლეტარიატი ამ უდიდეს ომში განმარტოვებული არა სდგას: მასთანაა ევროპის პროლეტარიატი, რომელიც ამ ხანათ, მართალია, საკმარის აქტიურ მოქმედებას ჯერ ვერ იჩენს, მაგრამ ყოველ წამში უნდა მოველოდეთ, რომ პეტროგრადის მუშების საყვირი ევროპის პროლეტარიატამდე მიაღწევს და იქ სოციალისტურ რევოლიუციის ცეცხლს დაანთებს. ეს იქნება პროლეტარული რევოლიუცია მსოფლიო მაშტაბით; ეს იქნება რუსეთის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება.

ჩვენ ვიცით, რომ ეგრეთ-წოდებული „სამოქალაქო ზავი“ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, რასაც ადგილი ქონდა სამი წლის იმპერიალისტური ომის დროს, ევროპის სახელმწიფოებში, დღეს უკვე გამქრალია. გერმანიის ჯარს, რომელიც რუსეთში შემოიჭრა, ზურგს უკან ყავს არა მარტო რუსის მუშები და გლეხები, არამედ თვით გერმანელი მუშები, რომლებიც ასაჯანყებლათ მზათ არიან. მაშასადამე, პროლეტარული რევოლიუციის ფრონტი მთელ მსოფლიოში დღეს მხოლოთ ერთია. ის გაიმარჯვებს მთელი მსოფლიო მასშტაბით ან დამარცხდება, დროებით რა თქმა უნდა, ამავე მაშტაბით, ტყუილი და ფუჭია ის აზრი, რომელსაც დღეს ჩვენში მენშევიკები ჩასჭიდებიან, რომ თუ ვინიცობაა რუსეთში დამარცხდა რევოლიუცია, ის ჩვენში ე. ი. ამიერ-კავკასიაში, გაიმარჯვებსო. ამიტომ, რომ რევოლიუცია იხსნან, ამის საშუალებას ისინი რუსეთიდან ჩამოშორებაში ხედავენ. ასეთი პოლიტიკის სიბეცე და სრული შეუსაბამობა აშკარაა. თუ დროებით დამარცხდა პროლეტარული რევოლიუცია რუსეთში, რევოლიუციას ამიერ-კავკასიაში ვერავითარი ძალა ვერ იხსნის. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება რუსეთისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი. ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა დღეს ისე უნდა იმოქმედონ, და ისე უნდა იბრძოლონ, როგორც იბრძვიან იმათი ამხანაგები და ძმები რუსეთში და მთელ ევროპაში. რევოლიუციის ბედი გადაწყდება დღეს რუსეთში და არა ამიერ-კავკასიაში. ვინც ფიქრობს სხვანაირათ, იგი ნებსით ანუ უნებლიეთ რევოლიუციის მტერია. მაშ, გაუმარჯოს რევოლიუციონური რუსეთის საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ერთ რევოლიუციონურ ფრონტს, გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას საერთაშორისო მასშტაბით!

---

## უფლება აყრილი მაზრა.

რამდენიმე დღის წინათ გამოიცა ქუთაისის გუბერნიის კომისარის განკარგულება, რომლის ძალით მთელი ლეჩხუმის მაზრა გამოცხადებულ იქნა კანონს გარეშე და ყოველ მხრიდან ალყა შემორტყმულათ. ჩვენ მხარეს განუცდია ბევრი უბედურება, უგემნია თვითმპყრობელობის [illegible] თის ალიხანოვის შემოსევა, მაგრამ მაშინაც კი ამის მსგავსი არ მომხდარა რა. ძალადობით დამთვრალი სალდათები და კაზაკები მუსრს ავლებდენ სოფელ—დაბებს. მარა მთელი მაზრის კანონის გარეშე დაყენება, ე. ი. ამ მაზრის მცხოვრებლების ყოველგვარი უფლების გაბათილება მათი ხოცვა გლეჯის, დარბევა გადაწვის თავისუფლების აღიარება ალიხანოვსაც არ მოსვლია აზრათ. და თუ ასეთ უსასტიკეს, გაუგონარ ზომებს მიმართა გუბ. კომისარმა, რომელიც [illegible] რევოლიუციონური ორგანოების სახელით გამოდის სამოქმედოთ, მაშ უნდა მომხდარიყო რაღაც უმაგალითო ამბავი, უნდა დატრიალებულიყო ისეთი ტრაღედია, რომლის ჩასაქრობათ არ გამოდგა არავითარი სხვა ზომები, არ გასჭრა არც ერთი ცდამ მშვიდობიანათ საქმის მოგვარებისა. ასე იყო საფიქრებელი. მაგრამ, საუბედუროთ, სულ სხვა სურათი იშლება ჩვენ წინ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, არავითარი სურათი არ მოიძებნება კომისარის მკაცრ განცხადებაში. „ჩემამდე მოსული ცნობების თანახმათ, მთელი ლეჩხუმის მაზრა უწესოებამ მოიცვა“—ასე იწყება მისი განცხადება. მერე მოთხრობილია რომ დ. ცაგერში „ბრბომ“ გადააყენა კომისარიატი და სხვა მოსამსახურე პირები აგრეთვე გადაუღობა ქუთაისიდან გაგზავნილ წითელ გვარდიელების რაზმს, რომელსაც ძალით აართვა ექვსი ვინტოვკა და მოუკლა რამდენიმე ცხენი; აგრეთვე ამავე „ბნელმა ძალებმა ცილის წამება ჩაადინეს“ და ეს გვარდია კონტრ რევოლიუციონურ ჯარათ მონათლა.

უნდა გვეფიქრნა, რომ „მოსული ცნობების თანახმათ“ როგორც გუბ. კომისარი, ისე ქუთაისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავის რევოლიუციონურ მოვალეობათ მიიჩნევდენ დაუყოვნებლათ ლეჩხუმში ჩასვლას, ყოველივეს გაგებას და, როგორც შეეფერება რევოლიუციის მსახურთ, ხალხის ნება-სურვილის სრულ დაკმაყოფილებას, თუ კი იქ მცხოვრებლებს მხოლოდ სისრულეში მოჰყავთ ის, რასაც რევოლიუცია მთელი წლის განმავლობაში უქადაგებს: ხალხის თვითმართველობა, ხალხის თვითმპყრობელობა.

...ჩაიდინეს ლეჩხუმლებმა „უწესოება“ — გაუმკლავდით მათ რევოლიუციის ნაცად იარაღით: შეგონებით, აგიტაციით- აშკარა კონტრ-რევოლიუციის ამოაჩენდით მათში — სამისო იარაღიც ხელში გქონდათ — დაუძახებდით თითონ ლეჩხუმლებს, მოუწოდებდით რევოლიუციონურ ელემენტებს, მათთან ერთათ გამოიმუშავებდით ბრძოლის გეგმას, დაეხმარებოდით გარედანაც, თუ თვით ლეჩხუმლები ვერ გაუმკლავდებოდენ შინაურ მტერს ყველაფერი ხალხისთვის და ხალხისვე შემწეობით — ეს ხომ [illegible] ყველასათვის უდავო უნდა [illegible], ქუთაისის მთავრობამ კი არ [illegible] საქმის გამოუძიებლათაც ჯერ [illegible] გაგზავნა ლეჩხუმში, და როცა ხალხი, ბევრის ჭირმნახველი, დაშინებული და ძალა უნებურათ დაუნდობარი, წინ ეღობება უეცრად, ხალხის გამოუძახებლათ, მიმავალ რაზმელებს, — მთელი მაზრის კანონს გარეშე გამოცხადდება და ალყის შე[illegible]ყმა. რატომ, რისთვის? რა დააშავა ასეთი მთელმა მაზრამ, დიდმა პატარამ, ჯანსაღმა თუ ავათმ[illegible]ა, რომ არსებობასა უსპობთ? [illegible]დამნაშავეთ სთვლით „ბნელ ძალებს“, მთელი მაზრა რატომ უნდა იყოს ასე სასტიკათ, ასე უმაგალითოთ, ასე ურჯულოთ დასჯილი და უფლება აყრილი? და თუ მთელი მაზრაა „დამნაშავე“ — ნუ თუ ღირსი არ იყო მოსმენის, მათი მოთხოვნილების ყურადღებით გაგების და აწონ დაწონის? ის მაზრა, რომელიც ყველა არჩევნებზე ხმას აძლევდა სწორეთ იმ პარტიას, რომელსაც ეკუთვნის გუბერნატორი ბ. კაჩუხაშვილი. რაკი მოხდა ასეთი უსამართლობა, რაკი რამოდენიმე ასი ათასი ლეჩხუმის თავისუფალი მოქალაქე უეცრათ, ერთი კალმის მოსმით ალყა შემორტყმული შეიქნენ, საქმეში უნდა ჩარეოდენ სხვა პარტიის წარმომადგენელნი. მით უმეტეს, რომ შემდეგში გამოირკვა ლევან დადეშკელიანის მოკვლა და ამ გულშემზარავმა ამბავმა, რევოლიუციის ნამსახურევი ამხანაგის სიკვდილმა კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. გაიმართა თათბირი ყველა რევოლიუციონურ პარტიების წარმომადგენლებისა იმის შესახებ, რომ შემდგარიყო პარტიათაშორისო კომისია, რომელიც უნდა გამგზავრებულიყო ლეჩხუმში ვითარების გამოსარკვევათ და საჭირო მშვიდობიანი ზომების მისაღებათ. მენშევიკებმა უარი განაცხადეს კომისიაში შესვლაზე, ლეჩხუმელებთან მხოლოდ ტყვიით შევიძლია ჩვენ ლაპარაკი, მას მერე რაც ჩვენი საუკეთესო ამხანაგი მოგვიკლესო. მათი სულიერი განწყობილების გაგება კიდევ შეიძლებოდა, გამართლება კი არავითარ შემთხვევაში. მთელ მაზრას ომის ალში გახვევა მოელოდა და შურისძიების გადატანას პოლიტიკაში აბა ვინ შეურიგდებოდა. ამიტომ ჩვენი პარტიის წარმომადგენლებმა სოციალ-რევოლიუციონერებთან და სოც.-ფედერალისტებთან ერთად გადასწყვიტეს კომისიის შედგენა. მუშათა დეპუტატების წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო კომისიაში, მაგრამ საბჭოში უმრავლესობის მქონე პარტია მენშევიკებია და ამიტომ საბჭოს დელეგატი კომისიაში არ შესულა. კომისიამ თავის მიზნის შესასრულებლათ და მოქმედების ნაყოფიერებისათვის, აგრეთვე ლეჩხუმის მშრომელი ხალხისადმი თავისი უბრალო რევოლიუციონურ მოვალეობის მოსახდენათ, საჭიროთ სცნო მოეთხოვა გუბ. კომისარისაგან საალყო წესების და მაზრის კანონს გარეშე დაყენების გაუქმება, რათა ლეჩხუმის მშრომელი ხალხი დარწმუნებულიყო, რომ გუბერნიის მთავრობა გულწრფელათ მოსურნეა საქმის მშვიდობიანათ მოგვარების. აგრეთვე კომისია მოითხოვდა ლეჩხუმში გამგზავრების უფლებას. მაგრამ გადაჭრილი უარი მიიღო კომისარისაგან. კომისიას სხვა გზა და საშუალება ლეჩხუმელებთან დაახლოვებისა არ ქონდა, ამის გამო კომისიამ შეუძლებლათ სცნო მუშაობის დაწყება და დაიშალა. როცა 1905 წ. გურიაში „ბუნტი“ გაჩაღდა და სახელმწიფო დაწესებულებებს ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა და თვითმართველობა განახორციელა, მეფის მოადგილემ სულთან კრიმგირეი პრესის და საზოგადოების წარმომადგენლების თანხლებით გაგზავნი იქ გურულების მოთხოვნილებების გასაგებათ. და საზოგადოთ ხალხის ნება-სურვილის გასათვალისწინებლათ. როცა ქ. კრონშტატი „გადუდგა“ დროებით მთავრობას, იქ მინისტრები აფრინეს მოსარიგებლათ. ჩვენში, რამდენათაც გვეგონია, ჯერ კიდევ რევოლიუცია გრძელდება, და მიუხედავათ ამისა რევოლიუციონურ პარტიების წარმომადგენელთ უბრალო „პროპუსკი“ ვერ უშოვიათ, რომ ასეთ საშინელ დროს ლეჩხუმის მშრომელ ხალხს დაენახონ. რევოლიუციაც ასეთი უნდა! რევოლიუციის კომისარობაც თურმე იმაში ყოფილა, რომ, საჭიროა თუ არა, მამაპაპურათ „ხელი რხმალს იკრა“, ალყა შემოარტყა მთელ მაზრას და ჩიტიც კი არ გადააფრინო. ძალა აღმართსა ხნავს, ეს დიდი ხანია ყველამ იცის; მაგრამ საკითხავია დრო და გარემოება ხელს უწყობს ბ. კაჩუხაშვილს შეასრულოს თავის გადაწყვეტილება ლეჩხუმის „იარაღით დამორჩილების“ შესახებ?

## ლევან დადეშკელიანი.

იგი შეიქნა ლეჩხუმში მომხდარ ამბების სხვერპლი. ეს მეტათ სამწუხარო და დამაფიქრებელი გარემოებაა.

ლევანი გუშინ არ გამოსულა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე. იგი ძველი პარტიული მებრძოლი იყო. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციის ხანაში მან ისახელა თავი, როგორც გაბედულმა და ენერგიულმა მებრძოლმა რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის დროშის ქვეშ. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ჩამომავლობით ლევანი ეკუთვნოდა ქართველი არისტოკრატიის უმაღლეს წრეს. მაგრამ მან დასთმო ამ წოდების პრივილეგიები, დასთმო განცხრომითი ცხოვრება და თავისი ბედი ტანჯულთა ბედს დაუკავშირა. ეს ადვილი საქმე არ არის და მხოლოთ ლევანისებურ იშვიათ ადამიანს შეეძლო ასე მოქცევა.

ამნაირათ ლევანი გადავიდა ჩაგრულთა ბანაკში, იგი 1905-6 წლების რევოლიუციონურ მოძრაობაში შესამჩნევ როლს თამაშობდა. მისი მოღვაწეობა ხდებოდა უმეტესათ ლეჩხუმის მაზრაში, სადაც იგი გვერდში ამოუდგა გლეხკაცობას, რისთვისაც იგი დევნილი შეიქნა არა მარტო რეაქციონური მთავრობის მხრით, არამედ კიდევ უფრო ლეჩხუმის თავადაზნაურობის მხრითაც, რომელსაც გადაწყვეტილი ქონდა მისი მოკვლა.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ ლევანი არა ლეგალურათ ცხოვრობდა დიდ ხანს.

1905—6 წლების რევოლიუციის დროს ლევანი ბალშევიკების პარტიას ემხრობოდა; რეაქციის დამკვიდრების შემდეგ თანდათან ჩამოშორდა ბალშევიკებს და მენშევიკებს მიემხრო, თუმც მენშევიზმით მოწამლული იგი არასოდეს ყოფილა.

ჩვენ ყოველ საშუალებას მოკლებული ვართ შევეხოთ აქ იმ გარემოებას, რომელშიაც მოხდა ლევანის მკვლელობა. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს გარემოება, ეს მკვლელობა დასაგმობია, და ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში რომ ლეჩხუმის გლეხკაცობაც, რომელსაც დღეს კონტრ-რევოლიუციონერობას აბრალებენ, ამ მკვლელობას ჩვენსავით გმობს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აშკარაა, სახელდობრის, რომ ლევანის მკვლელობით, რაგინდ აღმაშფოთებელი არ უნდა იყოს ეს, ლეჩხუმის დღევანდელი მოძრაობის დახასიათება შეუძლებელია.

ახლო მომავალი დაგვანახებს, თუ რა პირობებში მოხდა ეს მკვლელობა და ვის მიუძღვის ამაში პასუხის მგებლობა.

## პრესის მიმოხილვა.

მენშევიკების ორგანო „ერთობა“ ადგილობრივ სოც.-რევოლიუციონერების სალანძღავათ სხვა ვერას იგონებს გარდა იმისა, რომ იმათ აბრალებს „ბალშევიკურ აზროვნების ბრჭყალებში ჩავარდნას“. ესერების ბალშევიკურ აზროვნების ბრჭყალებში ჩავარდნა“, თუ „ერთობას“ დაუჯერეთ, იხატება იმაში, რომ სოც.-რევოლიუციონერები ერთი მხრით მობილიზაციის წინააღმდეგნი არიან და მეორე მხრით ისინი მოითხოვენ „ერთგვარი სოციალისტური მთავრობის შედგენას“. ყოველივე ეს მენშევიკებისთვის, რა თქმა უნდა, მომაკვდინებელ ცოდვათ ითვლება. ამაზე „ერთობა“ სამართლიანათ შეს ჩივლის სოც.-რევოლიუციონერებს:

„ბარემ უკეთესი არ იქნება საბჭოების მთავრობა შევქნათ, ესე იგი ბალშევიკები გავხდეთო“.

ჰოი, საშინელებავ! ეს რა სიტყვები წამოცდა მენშევიკების ორგანოს!

დასასრულ გაზეთს ასეთი დასკვნა გამოყავს ესერების პოზიციის განხილვიდან:

„საკმაოა — სწერს „ერთობა“ — ესერების ყრილობის რეზოლიუციებს გაეცნოს კაცი, რომ შეუძლებლათ არ ჩასთვალოს ხმები. ადგილობრივ ესერებში ძლიერდება მემარცხენე ესერების ფრთაო. მემარცხენე ესერები კი ბალშევიკების მაჩანჩალებს წარმოადგენენო“.

ასე სწერენ მენშევიკების ორგანოში. ჩვენ არაფერს ვიტყვით, თუ ვისი მაჩანჩალები არიან ადგილობრივი ესერები: დეე ამაზე იმტვრიონ თავები მენშევიკებმა და ესერებმა. საკვირველია მხოლოთ ის გარემოება, რომ ის ხალხი, რომელიც თათრის ბეგების და ხანების ბრჭყალებში მოექცა, რომელიც კაციჭამია ნაციონალ — შოვინისტების მაჩანჩალათ გადაიქცა, — ეს ხალხი სოც.-რევოლიუციონერებს უკიჟინებს, რომ ისინი ბალშევიკების ბრჭყალებში ჩავარდენ და ბალშევიკების მაჩანჩალებათ გადაიქციენო: სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, თავის თვალში კი დვირესაც ვერ ამჩნევენ!

---

არის თუ არა დღეს ამიერ-კავკასიაში მთავრობა? ამ საკითხს თავს დასტრიალებენ ამიერ-კავკასიის ყველა პარტიები და მისთვის თავი ვერ გაურთმევიათ. ამ საკითხს ეხება სოც. ფედ. ორგანო „სახალხო საქმეც“ უკანასკნელ ნომერში. გაზეთი ამტკიცებს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას კომისარიატის სახით არც წინეთ უგავდა, მაგრამ ახლა საქმე კიდევ უარეს მდგომარეობაშიაო.

„დღემდე — ამბობს გაზეთი — შეურიგებელი ინტერესები ნიადაგს აცლიდა მთავრობის ერთობას, აჩაღებდა საბოტაჟის სისტემას, დღეს ეს ინტერესები და საბოტაჟი თვით მთავრობის შედგენაში გამოიხატაო“..

როგორც მკითხველებმა იციან, რომ მთავრობის შედგენა ისევ სახელგატეხილ ამიერ-კავკასიის კომისარიატის „ცნობილ“ დიკტატორს ბ-ნ გეგეჭკორს მიანდო სეიმმა. მას შემდეგ აგერ ორი კვირა გავიდა და მთავრობის შედგენაზე არაფერი ისმოდა. ახლა „სახ. საქმე“ გადმოგვცემს შემდეგს:

„ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ გეგეჭკორს უნდოდა ორ დღეშივე შეედგინა კაბინეთი, მაგრამ მისი სურვილი სურვილათ დარჩა. კაბინეთის შედგენაში თავი იჩინა ისევ ძველმა ეშმაკმა, თათრის, სომხის, ქართველის ეროვნულმა ინტერესებმა და იმათ შეხლა შემოხლამო“.

უნდა მოვახსენოთ სოც.-ფედერალისტების ორგანოს, რომ ეროვნული ინტერესები აქ არაფერ შუაშია. საქმე იმაშია, რომ სეიმი თავს იყრიან არა სხვადასხვა ერთა მუშების და გლეხების წარმომადგენლები, არამედ მქონებელ კლასების, ე. ი. მემამულეების და კაპიტალისტების წარმომადგენლები ერთი მხრით და წვრილ ბურჟუაზიული ჯგუფების და ელემენტების წარმომადგენლები (მენშევიკები, ესერები) მეორე მხრით. ეს შეხლა-შემოხლა დაინტერესების შეურიგებლობა, რომელზედაც „სახ. საქმე“ გაიძახის, იმის ბრალია, რომ სეიმში ერთი მეორეს უპირდაპირდებიან სხვადასხვა ერების მქონებელი და გაბატონებული კლასები. ეროვნული მთავრობა, რომელიც სოც. ფედერალისტებს უებარ წამლათ მიაჩნიათ, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველის.

---

ერთ თავსატეხ საგნათ ამ უკანასკნელ დროს მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრის საკითხი გადაიქცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის ხალხის მათდა დაუკითხავათ სეიმი მოევლინა. დარჩეს თუ არა ეს ცენტრი, და თუ დარჩეს, რა დამოკიდებულება ექნება მათ სეიმთან.

მენშევიკებმა გვერდი აუარეს კითხვის ნათლათ და გარკვევით დაყენებას. იმათ კიდევაც უნდათ და არც უნდათ, რომ მუშების და გლეხების საბჭოები არსებობდენ.

ყველაფერში და ყოველგან კომპრომისის მაძიებელნი, ისინი აქაც კომპრომისულ გამოსავალს პოულობენ. ერთი სიტყვით მათ სწადიათ სეიმიც იყოს და საბჭოებიც. ისინი ვერ გრძნობენ, თუ რა წინააღმდეგობაში ვარდებიან.

უფრო გარკვევით აყენებენ ამ საკითხს აშკარა კონტრ-რევოლ. პარტიები. ისინი პირდაპირ ამბობენ, თუ სეიმი სრულუფლებიანი, საკანონმდებლო დაწესებულებაა.

რასაც მენშევიკებიც სცნობენ, მაშინ რის მაქნისია მუშების და გლეხების საბჭოები. ისინი მეტი ბარგია და უნდა თავიდან მოვიშოროთ. ასე აყენებს კითხვას „სახ. საქმეც." რომელიც „ერთობას" შემდეგ კითხვებს უყენებს:

„არის თუ არა რევოლიუციონურ დაწესებულებათ მისაჩნევი სეიმი? არის თუ არა გეგეჭკორის მთავრობა ?ისაჩნევი რევოლიუციის დამცველ მთავრობათ?. . მაშინ რაღა არის და რა უნდა აკეთოს „ცენტრმა ? ჩვენ არ გვაინტერესებს ის, თუ რა პასუხს გასცემენ მენშევიკები „სახ. საქმეს". ჩვენი შეხედულება კი ასეთია: სეიმის რევოლიუციონერობაზე ლაპარაკი დღეს ზედმეტია: სეიმის რევოლიუციონერობა მენშევიკებისთვის და სხვებისთვის დაგვითმია.

## ქრონიკა.

მობილიზაციის საქმე.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის განკარგულებით ამას წინეთ ჯარში გაწვევა დაიწყეს ახალგაზრდებისა 19 წლიდან 25 წლამდე. სომხების ეროვნულ საბჭომ კი თავისთავად დაადგინა ჯარში გაწვევა ყველა მამაკაცების 19-დან 32 წლამდის.

ქ. თბილისში კომისარიატის განკარგულების მიხედვით გამოცხადდა სულ ათასამდე კაცი, მათში ნახევარი, როგორც დედის ერთანი, განთავისუფლებულ იქმნენ. მიღებულთა შორის 124 რუსია, 180 ქართველი და 190 სომეხი.

ქ. ქუთაისში 1 და 2 მარტს სულ გამოცხადდა 108 კაცი. სრულიად განთავისუფლდა 37 კაცი, საავადმყოფოში გაგზავნეს 7. რვა კაცი გამოცხადების შემდეგ გაიქცა. სამსახურში მიღებულ იქმნენ 56.

გაზ. ვოზროჟდენიე"ს დახურვა. მთავრობის განკარგულებით დაიხურა გაზ. „ვოზროჟდენიე".

ჯარში გაწვევა. აზრად აქვთ ამ დღეებში გამოაცხადონ მობილიზაცია ახალგაზრდების 32 წლამდე („სახ. საქ.").

სამხედრო წესების გამოცხადება. ქუთაისის გუბერნიის კომისარმა შემდეგი განცხადება გამოსცა: „რევოლიუცია და სამშობლო გარეშე მტრისაგან საფრთხეში ჩავარდა თათარი ბათუმს უახლოვდება. გვიხსნის მხოლოდ შინაური წესრიგი და დისციპლინა. ამ დროს ჩვენში ანარქია ძლიერდება. ხალხის არსებობის და რევოლიუციის დასაცავათ საჭ[illegible]ოა ამ ანარქიის ჩაქრობა. ამიტო[illegible]ვაცხადებ 6 მარტიდან ქ. ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესებს. მოუწოდებ ყველა მოქალაქეთ მხარი დამიჭირონ ხალხისა და რევოლიუციის მტრებთან ბრძოლაში".

## 10 თებერვალი

(საგანგებო კომისიის საყურადღებოთ.)

10 თებერვალი ეს ამიერ-კავკასიის „სოციალისტურ" მთავრობისთვის იგივეა, რაც იყო 9 იანვარი ან 4 აპრილი (მუშების დახვრეტა ლენაზე) სისხლის მსმელ ნიკოლოზ რომანოვის მთავრობისათვის. 10 თებერვალს ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბრძანებით ყოვლად უმიზეზოთ დახვრიტეს ქ. ტფილისში ალექსანდრეს ბაღში მუშების და ჯარის-კაცების მშვიდობიანი მიტინგი. ტფილისის დღევანდელმა მთავრობამ „წესიერების" აღდგენაში ბევრათ გადააჭარბა საზიზღარი მეფის მთავრობას. მის მიერ გაგზავნილი რაზმი თეთრ გვარდიელებისა მიუახლოვდა მიტინგს არა მუქარით და დაშინებით, არამედ პირდაპირ მეხანათურათ, ე. ი. წითელი დროშით ხელში და პირზე ღიმილით, თითქო თითონ უერთდება და ეხმობილებოდა მიტინგს. ვინ იფიქრებდა, რომ ამნაირათ მოსული რაზმი განზრახ მიტინგის დასახვრეტათ იყო გამოგზავნილი. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ თეთრ გვარდიელების რაზმი ბ. ბ. იმნაძის და ავაკიანცის მეთაურობით მიტინგის დასახვრეტათ იყო გამოგზავნილი, რომ რაზმს წინდაწინ ნაბრძანები ქონდა მიტინგი დაეხვრიტა.

ამით აიხსნება რაზმის და მისი წინამძღოლების მეხანათური საქციელი. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ რაზმს ეშინოდა არა იმის, რომ მას არ დაეხმარება უიარაღო ხალხი, არამედ იმის, რომ მიტინგი თავის თავათ არ დაშლილიყო დახვრეტამდე.

ჩვენ არ გვინდა ჯერ-ჯერობით დაწვრილებით შევეხოთ ამ შემაძრწუნებელ ფაქტს. ჩვენ ვფიქრობთ აქ მხოლოთ ერთ გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. 10 თებერვლის დახვრეტის მიერ გამოწვეული აღშფოთება საზოგადოებაში იმდენათ ძლიერი იყო, რომ თვით მთავრობა იძულებული შეიქნა საგანგებო გამოძიება დაენიშნა 10 თებერვალს მომხდარ ამბების შესახებ, რათა დამნაშავენი რევოლიუციონურ სამართალში ყოფილიყვნენ მიცემული. გამოძიება ფიცხლავ დაწყებული იქნა. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს გამოძიება საბრალმდებლო თქმათ გადაიქცა ამიერ-კავკასიის კომისარიატის და ტფილისის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს სულის ჩამდგმელების წინააღმდეგ. მაგრამ დრო მიდის, და არც გამოძიებაზე და არც დამნაშავეთა სამართალში მიცემაზე არაფერი ისმის. ალბათ ფიქრობენ ამ საქმის მიფუჩეჩებას ისე, როგორც მიაფუჩეჩეს და გადამალეს შამქორში მომხდარ სისხლის ღვრის საქმე, ისე, როგორც სისხლის მსმელ ნიკოლოზ რომანოვის მთავრობა აფუჩეჩებდა დამალავდა თავის დამქაშების „საგმირო" საქმეებს. მაგრამ ამას ვერ შესძლებენ დღევანდელი მთავრობის მეთაურები და სულის ჩამდგმელები. მუშებმა და გლეხებმა უნდა მოითხოვონ 10 თებერვალს მომხდარ დახვრეტის სასტიკი გამოძიება და ყველა იმათი, ვისაც იმის მოხდენაში რაიმე მონაწილეობა აქვს, რევოლიუციონურ სამართალში მიცემა.

სანამეს მოთხოვნა სავსებით დაკმაყოფილებული არ იქნება, ჩვენ არ შეგვიძლია გაჩუმება და დუმილი იმ შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელი ამბის გამო, რომელიც მოხდა ტფილისში 10 თებერვალს. საგანგებო გამოძიების შედეგის დაუყოვნებლივი გამოქვეყნება და დამნაშავეთა რევოლიუციონურ სამსჯავროს მიერ გასამართლება,-აი რას ვთხოულობთ ჩვენ, და ეს ჩვენი მოთხოვნა აუცილებლათ დაკმაყოფილებული უნდა იქნას.

## რევოლიუციონური რუსეთი

ბათუმში 1 მარტს შემდეგი რადიო დეპეშა მოვიდა.

მოგილიოვი გუბ. საჩქარო, რიგს გარეშე, სამხედრო, რუსეთის რესპუბლიკის ყველა ქალაქებს, სოვდეპებს. პეტროგრადი, ც. ა. კ.; ყველას, ყველას.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! ახლა მივიღეთ საჩქარო ცნობები თუ რა ხდება მინსკში, რომელიც გერმანელებმა და პოლონელებმა დაიკავეს. მინსკში აღდგენილია მეფის რეჟიმი. ქუჩებში დადიან „გარადოვოები" და ჟანდარმები, რომელნიც თავის ძველ ხელობას მიმართავენ. სოციალისტურ პარტიების წევრებს შეუბრალებლათ ხვრეტენ. კადეტები შავრაზმელებთან ერთად აღფრთოვანებული არიან მათ მიემხრენ მემარჯვენე ესერები. მემამულეები თავის მამულებს დაუბრუნდენ, გლეხები ისევ უმიწოთ და უტყოთ დარჩენ. ბელორუსების რადა შეუერთდა გერმანელებს პოლიაკებს, და გლეხთა საბჭოების წინამდეგ წავიდნენ; ბელორუსების რადა განსაკუთრებით ბოროტმოქმედობს. მუშები ქალაქში უუფლებო ცხოვრების მდგომარეობაში არიან: მათ ყველა ეცინის. ერთი სიტყვით ყველა რევოლიუციის მონაპოვარი მოსპეს. ამხანაგებო, ნუ მივანიჭებთ რევოლიუციის მტრებს გამარჯვებას, შემოვკრბეთ საბჭოების გარშემო, შევიარაღდეთ ყველა, როგორც ერთი, რევოლიუციის დასახსნელათ; დავიცვათ თავის თავი და მინსკელი ამხანაგები გაუმარჯოს პროლეტარიატს! გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას!

მოგილევის გუბერნიის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი.

წითელ-გვარდიელების პარტიზანულ რაზმის მოქმედება.

28 თებერვალს წითელ-გვარდიელების პარტიზანულმა რაზმმა ჯავშნიან მატარებლის დახმარებით დაიკავა სადგური ჩერნიკოვიცა. ალების დროს 2 გერმანელი სალდათი მოჰკლეს, ერთი დასჭრეს და ერთი აფიცერი ტყვეთ წამოიყვანეს. ჩვენი მხრით მოკლულია ერთი და დაჭრილიც ერთი. პირველ მარტს ბელაესტოვის სადგურზე გამოჩნდა გერმანელების ჯავშნიანი ჰაეროპლანი. წითელ-გვარდიელებმა სროლა აუტეხეს და იძულებული იყო დაბრუნებულიყო ფსკოვისკენ, ყუმბარები არ ჩამოუყრია. ჩვენი პარტიზანული რაზმები უახლოვდებიან ტოროშინოვს, სადაც სამბარ პოზიციებს იკავებენ. ფსკოვის რაზმების შტაბი ყოველ ზომებს ხმარობს, რომ შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს თუ ის შეეცდება წინ წაწევას. ფსკოვისგან გამოქცეულები გვიამბობენ, რომ იქ დგას გერმანელების ერთი დივიზია, ერთი ბატარეია და კავალერია. ქვეითა ჯარი ირკუტსკის ყაზარმებშია. ქალაქში გერმანელების მიერ ძალიან სასტიკი რეჟიმია შემოღებული. დახურულია ყველა კლუბები, კავშირები და ორგანიზაციები

### საზღვარგარეთ.

ლენინი და იაპონიის მუშათა კლასი.

იაპონელ სოციალისტთა შორის პოლემიკაა გამართული ბოლშევიკების შესახებ. ჟურნალი „ციოკორონი" ამტკიცებს, რომ რუსული უტოპია სრულიად მიუღებელია იაპონიისთვისო. მეორე ჟურნალი „ნენნმა" აცხადებს, რომ მიუხედავათ იმისა შეესაბამება ჩვენს ცხოვრებას რუსული თეორიები თუ არა, ლენინი მაინც უ[…] დებულესი კაცია თანამედროვე [ის]ტორიაში. მარქსის განყენებული ი[…] ები მან გადაწერა ნამდვილ ცხო[ვ]რებაში და ამიტომ ყოველი იაპონ[…] ლი, რომელიც რუსეთში ცხოვრ[…] აღფრთოვანებული უნდა იყოს იდ[…] ების სიწმინდით, ლენინის პირდ[…] რობით და შეურყეველობით ის[…] უშლის იაპონელს იაპონელათ და[…] ჩეს. „ნიპონშინი" აცხადებს რომ[…] გადატრიალება, რომელიც ლენინ[…] შექმნა და რომელსაც ის ხელმძღ[ვა]ნელობს თანდათან ვითარდება. [რუ]სეთის რევოლიუციის ბელადის [ა]როვნება იაპონელ მუშათა შორ[ის] გაკვირვებას იწვევს და უფრო [და] უფრო იხვეჭს პატივისცემას.

ციმმერვალდის კომისიის მიმართვა […] და ქვეყნის მუშებისადმი.

ციმმერვალდის კომისიამ შემდეგ[ი] მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყ[ნის] და განსაკუთრებით კი გერმანე[ლ] მუშათა კლასს: „ძმებო და დებო[…] რუსეთის პროლეტარული მთავრობ[ა] საერთო მტერს ებრძვის. ნუ თუ [გე]რმანელი პროლეტარები რუსეთ[ის] რევოლიუციონურ რესპუბლიკას მტ[…] რსავით უყურებენ? ნუ თუ ისინ[ი] აიღებენ ხელს რუს ძმებისა და [დე]ბის წინააღმდეგ, რომელნიც ყვე[ლა] ქვეყნის მშრომელთა განსათავისუფ[…] ლებლათ იბრძვიან? ნუ თუ თქვ[ენ] შეურაცყოფთ თავს კაინისებური ვ[…] ცემლობით დაიცავით თავისი [..] ინტერნაციონალის პატივი."

## პარტიული ცხოვრებ[ა]

ლანჩხუთი. 16 თებერვალს [..] ნაკაშიძე მოხდა გურიის ბოლშევიკ[…] კომიტეტის კრება.

ზავის შესახებ კრებამ საჭიროთ [..] ნა მიღებულ იქნას გერმანიის მიერ [..] მოვეწებული ზავის პირობები, ვინაი[..] დემოკრატიული ზავის ჩამოგდება და[…] კიდებულია საერთაშორისო რევოლ[უ]ციაზე.

მიწის შესახებ კრებამ დაადგინა [..] ტიკური ნაბიჯები მხოლოდ მაშინ [..] ნას გადადგმული, როდესაც მაზრ[…] გლეხთა კომიტეტები ჩვენს ხელში [..] მოვა, რადგან მიწის საკითხის სას[…] ველათ გადაჭრა დამოკიდებულია მთ[…] მაზრაზე და არა ერთ და ორ სოფე[ლ]ზე. ჯერ-ჯერობით კი ამ კომიტეტ[…] დაიჭირონ ოპოზიციის ადგილი.

როგორც გამოირკვა, გურიაში [პარ]ტიის წევრთა რიცხვი უდრის 2,120

კვირას 11 მარტს დილის 10 საათზე, პარტიულ კლ[უბ]ში (ყოფილი „პროგიმნაზიის [..]ნობა)

დანიშნულია

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) პა[რ]ტიული

## საზოგადო კრება

განსახილველია ფრიად საყურადღ[ე]ბო კითხვები.

ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ [და]ესწრონ.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ი. დ. [..]ლაძისა—ქუთაისში.